ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 08 ივნისის ბიუროს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 08 ივნისის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 11

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

08 ივნისი 2022 წელი

**სხდომას თავმჯდომარეობდა -მანანა ბარბაქაძე** - საკრებულოს თავმჯდომარე

**სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:**

**დავით კიკნაძე** საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე,

**ამირან ოქრომჭედლიძე** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ,

**პაატა გოგოლაძე** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ,

**ბესიკი კვირიკაშვილი** - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

**მარინე ხვედელიძე**- საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

**შმაგი ხიჯაკაძე** - საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

**პავლე კიკალიშვილი** - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

**ოთარი ლურსმანაშვილი** საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

**შალვა ლურსმანაშვილი** ფრაქცია ,,ქართული ოცნება –დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარე,

**კონსტანტინე ბერაძე** ფრაქცია ,,ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარე.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**მერიის წარმომადგენელი:**

**პეტრე შარიქაძე** - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი.

**მედიის წარმომადგენლები:**

**ნ. კაპანაძე** გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი

**საკრებულოს აპარატი:**

**ლ. კალანდაძე** - საკრებულოს აპარატის უფროსი,

**ზ. ორბელაძე** - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში

**ნ. თხელიძე** - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში .

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

**დღის წესრიგი**

**1.** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

**მომხს: მანანა ბარბაქაძე**

**საკითხთა ნუსხა**

**სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N 69.69213501 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

**მომხს: პეტრე შარიქაძე**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს11 წევრი:

მომხრე 11

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

**მოსმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე - **სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N 69.69213501 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

**აზრი გამოთქვეს:**

ბიუროს წევრებმა პ. კიკალიშვილმა, შ. ხიჯაკაძემ, , რომელთა წინადადებით მოსაწონებელ პროექტთა ნუსხას დაემატა პროექტები ლაშის, ვარძიის, ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულებში

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომაზე გამოაცხადა 15 წუთიანი შესვენება, რათა წარმოდგენილ ნუსხაში მომხდარიყო დამატებითი პროექტების ასახვა

შესვენების დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საკითხის 2022 წლის 10 ივნისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

**კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:**

**მომხრე 11**

**წინააღმდეგი 0.**

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის სხდომის დღის წესრიგში.
2. საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 06 ივნისის სხდომის დღის წესრიგში

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

**დამტკიცდეს 2022 წლის 10 ივნისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).**

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

**სხდომის თავმჯდომარე** **მანანა ბარბაქაძე**